განკარგულება:**g-31. 31262055**
თარიღი:**24/07/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №43

2026 წლის 24 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე–2 და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტების, ,,სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N 386 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის, 2026 წლის 8 ივლისის N MIA 4 26 02408340 და N MIA 2 26 02408203 წერილების საფუძველზე, 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტებად განისაზღვროს:

ა) სოფ. გრიგოლეთსა და სოფ. წყალწმინდის ზღვის აკვატორიაში სანაპიროს გასწვრივ 25 მეტრისა და სანაპიროდან 100 მეტრის სიღრმეში, მოქალაქე გოგი ტიკარაძე (პ/ნ 26001004500) მომართვის საფუძველზე (წერილის რეგისტრაციის N19/30261747-30) თანდართულ სიტუაციურ გეგმაში ასახული კოორდინატების შესაბამისად (დანართი N1-დანართი N2).

ბ) სოფ. გრიგოლეთის ზღვის აკვატორიაში სანაპიროს გასწვრივ 25 მეტრისა და სანაპიროდან 100 მეტრის სიღრმეში, მოქალაქე გიორგი ტიკარაძე (პ/ნ 26101039767) მომართვის საფუძველზე (წერილის რეგისტრაციის N19/30261749-30) თანდართულ სიტუაციურ გეგმაში ასახული კოორდინატების შესაბამისად (დანართი N1).

მუხლი 2. არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით შესაძლებელია შეიცვალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციოულ საზღვრებში შავი

ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტები.

მუხლი 3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს.

მუხლი 4 განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონოს „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მცირე მცურავი საშუალებების ბაზირების ადგილი



დამკვეთი გოგი ტიკარაძე 26001004500

შემსრულებელი ი/მ გელა ღოღონავა 42001004573

GEORGIAN INDIVIDUAL ENTERPRISE
GELA TSOTSONAVA
42001004573

მცირე მცურავი საშუალებების ბაზირების ადგილი



დამკვეთი გოგი ტიკარაძე 26001004500

შემსრულებელი ი/მ გელა წოწონავა 42001004573

GEORGIA INDIVIDUAL ENTERPRISE
GELA TSOTSONAVA
42001004573

მცირე მცურავი საშუალებების ბაზირების ადგილი



დამკვეთი ბოგი ტიკარაძე 26001004500

შემსრულებელი ი/მ გელა წოწონავა 42001004573